იცი თუ არა შენ ?

საუკუნო სიცოცხლე ღმერთის ჯილდოა

იცი თუ არა, რომ უფალმა იესო ქრისტემ გამოგვისყიდა ცოდვებისაგან? მან „...თავი გადასცა ჩვენი ცოდვებისათვის...“, „...მე შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის“ (გალ. 1:4; 2:20.) იესო ქრისტე „...საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმინდაში და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა.“ (ებრ. 9:12.) მისი ბოლო სიტყვა ჯვარზე იყო: „...აღსრულდა!“ (იოან. 19:30.) ქრისტემ მთლიანად გადაიხადა ჩვენი ცოდვების საზღაური. „ჩვენ უსასყიდლოდ ვმართლდებით“. (რომ 3:24) ხსნა „არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს“. (ეფესელთა 2:9.) ღმერთმა „...გვიხსნა ჩვენ და მოგვიხმო ჩვენ წმინდა მოწოდებით, არა ჩვენ საქმეების მიხედვით, არამედ თავისი ნებითა და მადლით, რომელიც მოგვცა ჩვენ ქრისტე იესოში, საუკუნეთა უწინარეს;“ (II ტიმ. 1:9.)

ბიბლიაში დაწერილია: „...მიგვაჩნია, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთაგან დამოუკიდებლად“. (რომ. 3:28.) „ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არა არამედ ღვთის ნიჭია“. (ეფეს. 2:8.)

ეკლესიისადმი კუთვნილება არ გვიხსნის

ბიბლიაში ნათქვამია: „არავინ არის მართალი..., ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას“ (რომ 3:10; 3:23;) ეკლესიისადმი კუთვნილება არ ანთავისუფლებს ადამიანს ცოდვისაგან. იესო ქრისტემ თქვა: „...ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღვთის რისხვა დარჩება მასზე.“ (იოან. 3:36.)

შენ არა გაქვს შანსი

ბიბლია ამბობს, რომ: „ადამიანებს ერთხელ უწერიათ სიკვდილი და მერე განკითხვა“. (ებრ. 9:27.) არავინ უწყის რამდენ ხანს გაგრძელდება მისი სიცოც-

ხლე. „რომელთაც არ იცით, რა მოხდება ხვალ, რადგან რა არის თქვენი სიცოცხლე? ნისლი, რომელიც ერთ-ხანს გამოჩნდება, მერე კი გაქრება“. (იაკ. 4:14.)

შენ არ შეგიძლია საკუთარი თავის ხსნა

წმინდა წერილში დაწერილია: „...ვინაიდან სჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება“. (გალ. 2:16) და კიდევ: „ყველანი უწმინდურებივით შევიქენით და ყოველი ჩვენი სიქველე წარმავალი სამოსელივითაა, ფოთოლივით ვართ ყველანი დამჭკნარნი და ჩვენი ცოდვებისგან, როგორც ქარისგან წაღებულნი“ (ეს. 64:5.)

ხსნის საშუალება ყველას წილხვედრია

ბიბლიაში ნათქვამია: „ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება“. (რომ. 10:13.) „ქრისტე იესო მოვიდა წუთისოფელში ცოდვილთა სახსნელად, რომელთა შორის პირველი მე ვარ“. (I ტიმ. 1:15.) „რადგან ქრისტეც მოკვდა ერთხელ ჩვენი ცოდვების გამო, მართალი — უსამართლოთა გამო, რათა მივეყვანეთ ღმერთთან“. (1 პეტ. 3:18.)

თუ არ იქნები დახსნილი...

ყველას ვინც უგულვებელყოფს ხსნას, ელოდება საშინელი სიკვდილი; „მათი წამების კვამლი ავა უკუნითი უკუნისამდე და არ ექნებათ მოსვენება არც დღისით და არც ღამით“. (გამოცხ. 14:11.) „ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია“. (რომ. 6:23.) ეს ფიზიკურ სიკვდილზე უმეტესია. ბიბლია ამას უწოდებს მუდმივ ცეცხლს. „ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შებილწულთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყველა ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით, რომელიც მეორე სიკვდილია“. (გამოცხ. 21:8.)

როგორ გადავრჩეთ?

მხოლოდ „ღვთის წინაშე მონანიებით! (საქმე 20:21.) მონანიება — ეს ძირეული ცვლილება გულში და ღმერთისკენ შემობრუნებაა, შემეცნება საკუთარი ცოდვილიანობისა და საკუთარი თავის დახსნის შეუძლებლობისა. უფლის სიტყვა მოგვიწოდებს „იწამე უფალი იესო“. რწმენა — მთლიანი მინდობაა ქრისტესადმი, რომელსაც შეუძლია გაგვწმინდოს ყოველგვარი ცოდვისაგან და გადაგვარჩინოს. თუ მიიღებ იესო ქრისტეს შენს გულში და მიენდობი მას, იგი მიგიღებს თავისი შვილების რიცხვში და შეგიყვანს თავის სასუფეველში. თავის სიტყვაში ღმერთი გვპირდება: „იმიტომ, რომ თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები“.(რომ 10:9)

მიიღე დახსნის ჯილდო და საუკუნო სიცოცხლე დღესვე. იესო მოგიწოდებს შენ „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო, ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი მსუბუქი“. (მათე. 11:28-30.)

ძვირფასო მეგობარო! აღიარე იესო ქრისტე შენს მხსნელად და უფლად. მიმართე მას ლოცვაში „ღმერთო იყავ მოწყალე ჩემდამი. მე ცოდვილი მოგმართავ, ვინანიებ შენს წინაშე და გენდობი შენ. ჩემი მხსნელი ხარ უფალო. შენ გამომისყიდე საკუთარი სისხლით, რათა მომცე საუკუნო სიცოცხლე! ამინ!

ამინ!

FELLOWSHIP TRACT LEAGUE
P.O. BOX 164 • LEBANON, OH 45036
www.fellowshiptractleague.org © Tract 3500 (Georgian)
All tracts free as the Lord provides. Not to be sold.